

კავკასიის უნივერსიტეტი

წინამდებარე დოკუმენტი მომზადდა Erasmus+ ინსტიტუციური განვითარების პროექტის „აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლებისთვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (INTEGRITY)“ ფარგლებში (**Work Package 2.6**)

კონცეფცია სტუდენტური აკადემიური სერვისების შესახებ

This framework document was developed as part of the Erasmus Plus CBHE project “Academic Integrity for Quality Teaching and Learning in Higher Education Institutions in Georgia (Integrity)”.

The European Commission support for the production of this publication does not constitute an endorsement of the contents which reflects the views only of the author, and the Commission cannot be held responsible for any use which may be made of the information contained therein.

თბილისი
2019

დოკუმენტის მიზანი და შემუშავების მეთოდოლოგია:

ევროკომისიის მიერ დაფინანსებული Erasmus+ პროექტის - „აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლებისთვის ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (INTEGRITY)“ ფარგლებში მოხდა სტუდენტური სერვისების შესახებ კონცეფციის განვითარება **Work Package 2.6** თანახმად.

პროექტის მოთხოვნის შესაბამისად, დოკუმენტში მოცემულია ინფორმაცია და რეკომენდაციები უნივერსიტეტში ისეთი აკადემიური სერვისების და მათი განვითარების შესახებ, რომელიც სტუდენტებს დაეხმარება სასწავლო და კვლევითი შედეგების მიღწევაში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

შემუშავებული დოკუმენტი ეფუძნება კავკასიის უნივერსიტეტში უკვე არსებული სერვისების შესწავლას, გამოწვევების განხილვას და უნივერსიტეტში არსებული რესურსით, უნივერსიტეტის მიზნების შესაბამისად, სტუდენტური სერვისების განმავითარებელი მოდელის შემუშავებას. ამ პროცესის განუყოფელი ნაწილი გახლდათ პროექტის მონაწილე ევროპული უნივერსიტეტების საუკეთესო პრაქტიკის გაცნობა.

არსებული მდგომარეობის აღწერა

კავკასიის უნივერსიტეტში ამ ეტაპზე სტუდენტებისთვის აკადემიური სერვისების მიწოდების უზრუნველყოფა ხდება უნივერსიტეტის ორი სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მეშვეობით. ეს არის სკოლა (ცალკეული პროგრამების მიხედვით) და ბიბლიოთეკა.

✓ სკოლა (ცალკეული პროგრამები) სტუდენტებს აღნიშნულ სერვისებს აწვდიან რამდენიმე გზით:

- საორიენტაციო შეხვედრების დროს უზრუნველყოფენ სტუდენტთათვის მოქმედი საუნივერსიტეტო წესების შესახებ (ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი, ჩარჩო ხელშეკრულება და სხვა) გაცნობას. პირველივე დღეს ხდება აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების შესახებ სტუდენტებში ინფორმაციის გავრცელება და წარმოდგენის შექმნა.
- საგანმანათლებლო პროგრამის პირველ ან მეორე ეტაპზე ისწავლება **სასწავლო კურსი „აკადემიური წერა“**, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები სიღრმისეულად ეცნობიან აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებს, პლაგიატის სახეებს და პალგიატის თვიდან არიდების საშუალებებს. ასევე, სწავლობენ მსგავსების ამომცნობი პროგრამის გამოყენებას (ამ ეტაპზე უნივერსიტეტის იყენებს პროგრამა Turn-it in-ს). სწავლობენ საუნივერსიტეტო ბაზებით სარგებლობას და აკადემიური წერისა და კითხვის სხვადასხვა სტრატეგიებს.
- **სასკოლო სტუდენტური კონფერენცია** - სკოლის ორგანიზაციებით ყოველწლიურად, გაზაფხულის სემესტრის ბოლოს ტარდება სტუდენტური კონფერენცია, რომლის ფარგლებშიც სუტენტები ეცნობიან კვლევითი ნაშრომის წარმოდგენის საჭირო სტრუქტურას და მოთხოვნებს და აქვთ შესძლებლობა შეარჩიონ ხელმძღვანელი და წარმოდგინონ დამოუკიდებელი კვლევითი ნაშრომი. აღნიშნული აქტივობა ხელს უწყობს სტუდენტებში დამოუკიდებელი კვლევითი უნარების სტიმულირებას, გამოცდილების მიცემას და შესაბამისად მათი აკადემიური უნარების ამაღლებას.

- თეზისზე მუშაობის (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) წინა საორიენტაციო შეხვედრები - თეზისზე მომუშავე სტუდენტებთან და მათთვის თეზისის შესრულებასთან დაკავშირებული, დებულებით გათვალისწინებული საკითხების გაცნობა.
- ✓ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა:
 - ბიბლიოთეკა ყველა დაინტერესებულ პირს (მათ შორის სტუდენტებს) სთავაზობს აკადემიურ ელექტრონულ ბაზებს. ბიბლიოთეკის სივრცეში განთავსებულია აკადემიური ბაზებით სარგებლობის ინსტრუქციები. საჭიროების შემთხვევაში ბიბლიოთეკის თანამშრომლები აკადემიური კვლევით დაინტერესებულ სტუდენტებს უწევენ ინდივიდუალურ დახმარებას.
 - ბიბლიოთეკა პერიოდულად ორგანიზებას უწევს ტრენინგებს, რომელსაც უძღვება კონკრეტული სამენციერო ელ. ბაზის მომწოდებელი კომპანია. აღნიშნულ ტრენინგზე მიწვეული არიან უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, განსაკუთრებით კი აკადემიური წერისა და კვლევის მეთოდების ლექტორები, რომლებიც შემდგომ მიღებულ ინფორმაციასა და ცოდნას უზიარებენ სტუდენტებს, რათა მოხდეს ახალი ბაზების გამოყენების პროცესის დანერგვა და ინტეგრირება მიმდინარე აკადემიურ საქმიანობაში.

კავკასიის უნივერსიტეტში აკადემიური სერვისების შემდგომი განვითარების

რეკომენდაციები

I. ზოგადი რეკომენდაცია უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისთვის:

- შეიქმნას და სტუდენტებისთვის/აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომ ადგილას განთავსდეს ინფორმაცია პლაგიატის, მისი დეტექციის, პრევენციისა და შესაბამისი სანქციების შესახებ.
- შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ მოხდეს ამ წესების და დოკუმენტების შესახებ სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა.

II. ბიბლიოთეკა:

1. ბიბლიოთეკაში ინდივიდუალური კონსულტაციების სერვისი.

ინდივიდუალური კონსულტაციები ბიბლიოთეკაში გულისხმობს, რომ სტუდენტისთვის ხელმისაწვდომი იყოს ინდივიდუალური შეხვედრა/გასაუბრება ბიბლიოთეკართან შეხვედრის დროის წინასწარი დაჯავშნის გზით (სხვადასხვა უნივერსიტეტებში ჰქვიათ: a Refrence Librarian, Library help desk და სხვა...), აღნიშნული შეხვედრის მიზანია დამატებითი/სიღრმისეული ინფორმაციის მიღება შემდეგ საკითხებზე - საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება; კონკრეტულ საკვლევ თემასთან დაკავშირებით აკადემიური წყაროების მოძიების გზები და ხერხები; წყაროების სანდოობის შეფასება ზოგადი კრიტერიუმების მიხედვით.

2. სერვისი ციტირების/ბიბლიოგრაფიის ავტომატურ რეჟიმში შედგენის შესახებ.

აღნიშნული ტრენინგის მიზანი უნდა იყოს ციტირებების მართვის რომელიმე ელექტრონული პროგრამის გაცნობა სტუდენტისთვის/სტუდენტებისთვის. ტრენინგი შეიძლება ჩატარდეს წელიწადში ერთხელ (სხვადასხვა საფეხურისთვის) ან საჭიროებისამებრ (ბიბლიოთეკის არსებული რესურსის გათვალისწინებით). ეს შეიძლება იყოს: Mendeley; Zotero; EndNote; Refworks და სხვ.

ტრენინგის დროს სტუდენტს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია აღნიშნული სისტემების წერაში გამოყენების შესახებ, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის გზით. სასურველია ზოგადი ინფორმაცია ამ საშუალებების შესახებ ღიად იყოს განთავსებული ბიბლიოთეკის/უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. ამით მოხდება ზედმეტი მომართვიანობის დარეგულირება.

ასევე, ევროპელი პარტნიორების გამოცდილებიდან შეგვიძლია შევთავაზოთ რომელიმე სერვისი ან სერვისთა ერთობლიობა:

1. “დამე ბიბლიოთეკაში” - საგამოცდო ან დაცვების წინა პერიოდში (წელიწადში ერთხელ ან ორჯერ). ამ დროს სტუდენტს მოკლე დროში შეეძლება ყველა იმ მომსახურების მიღება, რასაც ბიბლიოთეკა ისედაც სთავაზობს. ამ დროს შეიძლება ბიბლიოთეკაში იმყოფებოდეს გამოცდასთან ან დაცვასთან დაკავშირებული აკადემიური პერსონალი, რომლებიც სტუდენტებს დამატებით კონსულტაციას გაუწევენ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით.

2. ტუტორიალები - მოკლე ვიდეო ინსტრუქციები ბიბლიოთეკაში არსებული სერვისებისა თუ რესურსების შესახებ. აღნიშნულის მიზანია, დაეხმაროს სტუდენტს ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიებაში და დამუშავებაში და ასევე, ბიბლიოთეკის რესურსების გათვალისწინებით შეამციროს მომართვიანობის მაღალი რიცხვი, საზოგადო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. ამისთვის საჭიროა ამ საშუალებების არსებობის მიმდინარე პოპულარიზება სტუდენტებში (ლიფლეტების, მეილის თუ საორიენტაციო პაკეტებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გზით).

3. პერიოდული ტრენინგი საბიბლიოთეკო ელ. ბაზების გამოყენების შესახებ

4. საორიენტაციო შეხვედრები (წელიწადში ერთხელ) - აღნიშნულ შეხვედრებზე ხდება ბიბლიოთეკაში არსებული სერვისების მიმოხილვა და სტუდენტების ინფორმირება.

კომენტარი: აღნიშნული სერვისების დანერგვას სჭირდება თითოეულ სერვისთან დაკავშირებული რესურსის (ადამიანური თუ ტექნიკური) მიწოდების უზრუნველყოფა. მაგ. ბიბლიოთეკის ადამიანური რესურსის მომზადება/გადამზადება.

III. აკადემიური სერვისების გაძლიერება პროგრამების ფარგლებში (პირველი ეტაპი)

მოხდება/ხდება დამატებით სერვისების დანერგვა/განვითარება კონკრეტული პროგრამების ფარგლებში, პროგრამის კონკრეტული საჭიროებებიდან გამომდინარე.

მაგალითად: სახელმწიფო მართვის სკოლაში ყველა პროგრამაზე სადაც ხარისხის მინიჭების წინაპირობა არის კვლევითი ნაშრომის შექმნა, კურიკულუმში გათვალისწინებულია საგანი „**კვლევის დიზაინი**“ (3 ECTS), რომლის ფარგლებშიც პროგრამა ეხმარება სტუდენტს კვლევითი ნაშრომის შექმნისთვის საჭირო აკადემიური უნარების განვითარებაში. კურსის განმავლობაში სტუდენტები ჩამოაყალიბებენ საკვლევ კითხვას, განავითარებენ ჰიპოთეზას, გამოყოფენ დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს, შეიმუშავებენ ნაშრომისთვის აუცილებელ მეთოდოლოგიას, შეარჩევენ შესაბამის თეორიულ სკოლას, რომელიც ხსნის მათ მიერ ჩამოყალიბებულ ჰიპოთეზას. კურსის განმავლობაში სტუდენტები ჩააბარებენ რამდენიმე „შავ“ ნაშრომს, რაც დაეხმარება მათ, სემესტრის ბოლოსთვის მზად ჰქონდეთ საკუთარი ნაშრომი.

ასევე, პროგრამების ფარგლებში კვლევით/აკადემიურ ნაშრომებთან დაკავშირებით ხდება სტუდენტების:

- ✓ კონსულტირება
- ✓ საორიენტაციო დღეები
- ✓ ტარდება სხვადასხვა მასტერკლასები და სემინარები (საჯაროდ გამოსვლას უნარების თუ აკადემიური წერის განმავითარებელი).

IV. ცენტრალიზებული მოდელი: აკადემიური წერის ცენტრის შექმნა (მეორე ეტაპი)

კავკასიის უნივერსიტეტში შეიქმნას აკადემიური წერის ცენტრი - წერის ცენტრს უნდა ყავდეს თავისი თანამშრომლები (დირექტორი, მენეჯერი და ა. შ.), თუმცა, ამავდროულად უნდა აერთიანებდეს უნივერსიტეტის აკადემიური წერის ყველა ლექტორს. ცენტრში უნდა მუშავდებოდეს და შესაბამისად ახლდებოდეს აკადემიური წერის სილაბუსები, სასწავლო ლიტერატურა, წერის ცენტრის მიერ შემუშავებული ტუტორიალები (პრეზენტაციის თუ ვიდეოს სახით) და სახელმძღვანელოები.

პროექტის ფარგლებში განხილული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, ცენტრი სტუდენტებს უნდა სთავაზობდეს სერვისებს რამდენიმე მიმართულებით:

ა) **კონსულტაციები** - ნებისმიერ სტუდენტს სემესტრის განმავლობაში უნდა შეეძლოს მოითხოვოს ინდივიდუალური კონსულტაცია წერის ცენტრის თანამშრომლის/ლექტორისგან. ამ მიზნით სტუდენტმა უნდა შეავსოს სპეციალური სარეგისტრაციო ფორმა, რომელიც განთავსებული უნდა იყოს ხელმისაწვდომ ადგილას (სასარუველია ცენტრს ჰქონდეს საკუთარი გვერდი, უნივერსიტეტის ვებგვერდის ფარგლებში).

ბ) **საორიენტაციო დღეები/მასტერკლასები/სემინარები** - სხვადასხვა საფეხურის სტუდენტებისთვის უნდა დაიგეგმოს შესაბამისი ღონისძიებები. მაგ. ბაკალავრებისთვის პრეზენტაციის, საჯაროდ გამოსვლის უნარების თუ აკადემიური წერის განმავითარებელი ტრენინგები. ხოლო მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის დისერტაციის მომზადების პერიოდში ინდივიდუალური უკუკავშირის შეთავაზება ნაშრომის სტრუქტურის თუ კონკრეტული თავის შესახებ. ასევე, მასტერკლასების აკადემიური წერისა და კვლევის თანამედროვე მეთოდების შესახებ.

გ) **კოლეგიალური პროგრამა** (ვენის უნივერსიტეტში არსებული - Academic Writing Fellow Program-ის მსგავსად) - შეირჩეს და სპეციალურად მომზადდეს მაღალ კურსელი სტუდენტების ჯგუფი, რომლებიც აკადემიური წერის სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით გაუწევენ კონსულტაციას და აღმოუჩენენ დახმარებას თანატოლებს. აღნიშნული საქმიანობა შეიძლება იყოს მაგისტრანტის ან დოქტორანტის სწავლება ასისტირების კომპონენტის ნაწილი.